

საქართველოს სახელმწიფო ინჟინერ-სოციალური მედიკო-სოციალური მონაცემთა კომპიუტერული ბაზა

ქართლოს ყაჭიაშვილი, ბადრი მეფარიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წარმოდგენილია ავტორების მიერ Ms Access-ის პროგრამულ გარემოში შექმნილი გერონტოლოგიური მონაცემების კომპიუტერული ბაზა, რომლის დანიშნულებაა გერონტოლოგიური ინფორმაციის კომპაქტური შენახვა კომპიუტერში, მისი ნებისმიერი ნაწილის ოპერატიული მონახვის და საჭირო მონაცემების ადვილად გასაგები და თანამედროვე მათემატიკური მეთოდებითა და საშუალებებით დასამუშავებლად მოსახერხებელი ფორმით წარმოდგენის შესაძლებლობით. შექმნილი კომპიუტერული ბაზისათვის გადაწყვეტილი იქნა შემდეგი ამოცანები: მონაცემთა ორგანიზაცია კომპიუტერის მეხსიერებაში და მათი მართვა; ინფორმაციის მოძებნა და საჭიროების შემთხვევაში მათი კერექტირება; მონაცემთა შერჩევა მითითებული კრიტერიუმებით; ფორმებისა და ანგარიშების აგება; მონაცემებთან მუშაობისათვის სპეციალური მაკროსების დამუშავება; გრაფიკებისა და დიალოგების შექმნა; საჭირო ფორმებით ინფორმაციის წარმოდგენა.

საკვანძო სიტყვები: გერონტოლოგია. მონაცემთა ბაზა. მათემატიკური მეთოდები. Ms Access.

1. შესავალი

გერონტოლოგიური გამოკვლევები, ანუ გამოკვლევები დაკავშირებული იმ ფაქტორების დადგენასთან, რომლებიც ყველაზე უფრო არსებით გავლენას ახდენენ ადამიანების ჯანმრთელობაზე და, საბოლოო ჯამში, ადამიანების ცხოვრების ხანგრძლივობაზე, საჭიროებს დიდი მოცულობის ინფორმაციას როგორც სხვადასხვა ასაკის ადამიანების მედიკო-ბიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ მათი არსებობის მთელი დროის განმავლობაში, ასევე მათი ცხოვრების სოციალური, ეკოლოგიური, გეოგრაფიული, ეთნოლოგიური და სხვა მახასიათებლების შესახებ.

ასეთი ინფორმაციის შესაბამისი მეთოდებით დამუშავების გზით საჭირო კანონზომიერებათა აღმოსაჩენად, რომლებიც განსაზღვრავს პიროვნებების სიცოცხლის ხანგრძლივობას, საჭიროა ინფორმაციის კომპაქტური შენახვა მისი ნებისმიერი ნაწილის ოპერატიული მონახვის და საჭირო მონაცემების ადვილად გასაგები და თანამედროვე მათემატიკური მეთოდებითა და საშუალებებით დასამუშავებლად მოსახერხებელი ფორმით წარმოდგენის შესაძლებლობით.


2. ძირითადი ნაწილი

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით ავტორების მიერ ACCESS-ის პროგრამულ გარემოში შექმნილი იქნა გერონტოლოგიური მონაცემების კომპიუტერული ბაზა. კერძოდ, შექმნილი კომპიუტერული ბაზისათვის გადაწყვეტილი იქნა შემდეგი ამოცანები: მონაცემთა ორგანიზაცია კომპიუტერის მეხსიერებაში და მათი მართვა; ინფორმაციის მოძებნა და საჭიროების შემთხვევაში მათი კერექტირება; მონაცემთა შერჩევა მითითებული კრიტერიუმებით; ფორმებისა და ანგარიშების აგება; მონაცემებთან მუშაობისათვის სპეციალური მაკროსების დამუშავება; გრაფიკებისა და დიალოგების შექმნა; საჭირო ფორმებით ინფორმაციის წარმოდგენა (ნახ.1).


ბაზაში შესატანი ინფორმაცია შედგება გერონტოლოგიების მიერ შემუშავებულ საქართველოს უფროსი ასაკის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის შესაფასებელ სპეციალურ კითხვარში შეტანილი ინფორმაციისაგან, რესპოდენტის საცხოვრებელი გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციისა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი სამედიცინო გამოკვლევის შედეგებისაგან (ნახ.2).

კითხვარში შეტანილი ინფორმაცია შედგება შემდეგი ძირითადი ბლოკებისაგან: პირადი მონაცემები და ყოფაცხოვრება, ზოგადი შეკითხვები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მავნე ჩვევები, კვების ხარისხი, ფიზიკური აქტივობა, სოციალური სფერო, მემკვიდრეობითობა, გულ-სისხლძარღვთა სისტემა (მათ შორის: ტკივილი გულმკერდის არეში დატვირთვისას, მიოკარდის

შესაძლო ინფარქტი, ხანგამოშვებითი კოჭლობა, რეინოს სინდრომისათვის დამახასიათებელი სიმპტომები, არტერიული ჰიპერტონია), ნერვული სისტემა (მათ შორის: პანიკური შეტევის (ვეგეტაციური კრიზის) სიმპტომები, ძილის დარღვევები), სასუნთქი სისტემა, საჭმლის მომნელებელი სისტემა, შარდ-სასქესო სისტემა, ონკოლოგია, რევმატოლოგია, შაქრიანი დიაბეტი, კლიმაქტერიული სინდრომი, მინი-მენტალური მდგომარეობის შეფასება, ინტერვიუერის შეფასება. სულ 265 კითხვა, რომლებზედაც გაცემული პასუხები წარმოდგება ბინარული ან მულტინომინალური ლოგისტიკური ცვლადების საშუალებით. მაგალითისათვის მე-3 ნახაზზე წარმოდგენილია კვების ხარისხის ამსახველი ინფორმაციის შესაბამისი ფორმა.



ნახ.1



ნახ.2



ნახ.3



ნახ.4

საცხოვრებელი გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: ნიადაგში, წყალში და ატმოსფერულ ჰაერში სხვადასხვა დამბინძურებლების შემცველობებს. კერძოდ, ნიადაგში – ფოსფორისა და კალიუმის მოძრავი ფორმები, ჰიდროლიზური მჟავიანობა, ნიადაგის ჰუმუსი, გაცვლითი მჟავიანობა, ალუმინის, მაგნიუმის, კალციუმის, ნიტრატების, გოგირდის, სპილენძის, კობალტის, თუთიის, მანგანუმის, რკინის, მოლიბდენის, ბორის და პესტიციდების შემცველობები; წყალში – გახსნილი ჟანგბადის, ჟანგბადზე ბიოლოგიური მოთხოვნილების, ამონიუმის აზოტის, ნიტრატის აზოტის, ნავთობპროდუქტების, ფენოლების, რკინის, სპილენძის, თუთიის, ქრომის, ნიკელის, კობალტის, ტყვიის, დარიშხანის, ვერცხლისწყლის, კადმიუმის, კალიუმის, კალციუმის, მაგნიუმის, ნატრიუმის, სულფატების, ქლორიდების, ამიაკის შემცველობები; ატმოსფერულ ჰაერში – მტვერის, გოგირდის დიოქსიდის, აზოტის ოქსიდის, აზოტის დიოქსიდის, ნაწილაკების, მანგანუმის დიოქსიდის, ფენოლის, ამიაკის, ფორმალდეჰიდის, ხსნადი სულფატების, ოზონონის, გოგირდის წყალბადის, ტყვიის შემცველობები.


ჯანმრთელობის ამსახველი სამედიცინო გამოკვლევის შედეგები დაჯგუფებულია ექვს ჯგუფად და შედგება 100-ზე მეტი სხვადასხვა მედიკო-ბიოლოგიური მაჩვენებლისაგან.

3. დასკვნა

დამუშავებულია ორი სახის მოთხოვნები: რესპოდენტების სია, რესპოდენტი-ეკოლოგია. მაგალითისათვის მე-4 ნახაზზე წარმოდგენილია მოთხოვნა „რესპოდენტი-ეკოლოგი“.



ნახ.5



ნახ.6

ანგარიშებში ჩართულია რესპოდონტები. დიაგრამების სახით შესაძლებელია ბაზაში არსებული რესპოდენტების მონაცემების სქესის, ასაკის (აბსოლუტურ ერთეულებში და პროცენტებში), საცხოვრებელის, აღკოპოლური სასმელების, თამბაქოს მოხმარების, ნარკოტიკების მოხმარების მიხედვით შემადგენლობის ამსახველი ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენა. მაგალითის სახით მე-5 და მე-6 ნახაზებზე წარმოდგენილია, შესაბამისად ასაკობრივი განაწილებისა და აღკოპოლიანი სასმელების მოხმარების სიხშირის ამსახველი დიაგრამები.

МЕДИКО-СОЦИОЛОГИЧЕСКАЯ КОМПЬЮТЕРНАЯ БАЗА ДАННЫХ ПОЖИЛЫХ ГРАЖДАН ГРУЗИИ

Качиашвили К., Мепаришвили Б.
Грузинский Технический Университет

Резюме

Предлагается компьютерная база данных геронтологии, созданная авторами в окружающей среде программы MsAccess. Она предназначена для компактного хранения геронтологической информации в компьютере, с целью оперативного и удобного поиска ее необходимой части для дальнейшей переработки математическими методами и сервисными средствами. Для созданной компьютерной базы были решены следующие задачи: организация данных в машинной памяти и управлении ими; поиск информации и ее исправление в необходимом случае; выбор данных с указанным критерием; создание форм и отчетов; разработка специальных макросов; создание графов и диалогов; представление информации в необходимых формах.

MEDICO-SOCIOLOGICAL DATA COMPUTER BASE OF GEORGIAN OLD CITIZENS

Kachiashvili K., Meparishvili B.
Georgian Technical University

Summary

There is offered a computer base of gerontology data created by authors in the program environment ACCESS. It destines for compact saving of gerontology information in the computer, operative finding it's any part and representation in a suitable form for processing by modern mathematical methods and facilities. The following tasks were solved for created computer base: data organization in the computer memory and its management; information search and its correction in the requisite case; data choice by indicated criterion; creation of the forms and queries; elaboration of the special macros; creation the graphs and dialogues; representation of the information in the needed forms.